

„და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“  
შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“-ს  
დირექტორატის მიერ 2015 წლის 01 სექტემბრის № ზ-10 ბრძანებით

-----/ლალი გარდაფხაძე/

-----/ნინო ქადაგიძე/

შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“  
მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის  
ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ  
დებულება

## **მუხლი 1. შესავალი**

სასკოლო საზოგადოების ერთ-ერთ შემადგენელს მოსწავლეთა მშობლები წარმოადგენენ. ისინი სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების დანარჩენს ნაწილზე - მასწავლებლებზე და მოსწავლეებზე. მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და უფრო ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია და კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ.

## **მუხლი 2. ზოგადი დებულებები**

პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ მოსწავლის მშობლად/კანონიერ წარმომადგენლად იწოდება მას შემდეგ, რაც სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმდება ხელშეკრულება და მოსწავლე ჩაირიცხება შესაბამის კლასში.

## **მუხლი 3. დებულების მიზნები და ამოცანები**

შვილის განათლების პროცესში მშობლის ჩართულობის მიზანია:

3.1 მოსწავლეებმა უფრო წარმატებით დაამთავრონ სკოლა და ჰქონდეთ სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები და პირობები;

3.2 მშობელი ჩაერთოს შვილის განათლებისა და აღზრდის პროცესში. ასევე, სოციალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებაში;

3.3 მშობელი სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას შვილის მდგომარეობის შესახებ და დროულად იღებდეს ზომებს მისი პრობლემების მოსაგვარებლად;

3.4 დაეხმაროს მასწავლებელს, მოსწავლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის სისტემატურად მიღებაში;

3.5 სკოლამ გაზარდოს საზოგადოებაში თავისი იმიჯი და მიიღოს მშობლებისგან მეტი მხარდაჭერა;

3.6 გაიზარდოს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.

## **მუხლი 4. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები**

### **3.1. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებია:**

3.1.1. უზრუნველყოს შვილისათვის სწავლისა და აღზრდის ნორმალური პირობების შექმნა, უზრუნველყოს თავისი შვილი სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით;

3.1.2. უზრუნველყოს მოსწავლის დასწრება გაკვეთილებსა და სავალდებულო სასკოლო ღონისძიებებზე;

3.1.3. გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში წინასწარ შეატყობინოს ადმინისტრაციას;

- 3.1.4. ხელი შეუწყოს შვილს სწავლაში და აკონტროლოს მისი მომზადების ხარისხი;
- 3.1.5. აქტიურად ითანამშრომლოს სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან;
- 3.1.6. შეასრულოს ამ დებულებით, სკოლის შინაგანაწესით და დირექტორთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;
- 3.1.7. შეასრულოს კანონმდებლობის მოთხოვნებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები სკოლის წინაშე;
- 3.1.8. აანაზღაუროს სკოლისათვის შვილის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი;
- 3.1.9. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები.

### **3.2. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებია:**

- 3.2.1. მოსთხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილე პირებს მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- 3.2.2. მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციისაგან სკოლის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია მისი შვილის სწავლა-განათლებასთან;
- 3.2.3. მოითხოვოს მოსწავლის ობიექტური შეფასება;
- 3.2.4. სისტემატიურად მოითხოვოს მისი შვილის შეფასების შესახებ ინფორმაცია საგნების მიხედვით;
- 3.2.5. მოითხოვოს ნებისმიერი საკითხის განხილვა მშობელთა კრებაზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

### **მუხლი 4. მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი**

- 4.1. მშობელი სკოლაში ცხადდება ადმინისტრაციის, დამრიგებლის ან საგნის მასწავლებლის მოწვევით.
- 4.2 თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.

### **მუხლი 5. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი**

5.1. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება სხვადასხვა ფორმით სატელეფონო ზარი, ელექტრონული ჟურნალი, წერილი, და ა.შ.

5.2 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება მოხდება შესაძლოა ასევე განხორციელდეს:

- ✓ საინფორმაციო ნიშნების ფურცლებით, რომელიც მიეწოდება მშობელს და გაცნობის ფაქტს ადასტურებს ხელმოწერით;
- ✓ საგნების მიხედვით მოსწავლის აკადემიური მოსწრების ფურცლით, რომელშიც სემესტრების მიხედვით აღინიშნება თითოეული საგნის შეფასებები;
- ✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს.

5.2. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან ადმინისტრაციის წევრი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს.

5.3. საგნის მასწავლებელი, მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის სასწავლო შედეგები, მხოლოდ იმ სასწავლო დისციპლინაში რომელსაც ასწავლის.

5.4 კლასის დამრიგებელმა უნდა მოამზადოს კითხვარი მშობლებისათვის, რომელიც მათ დაეხმარებათ დაადგინონ: მშობლების ინტერესის სფერო, სასკოლო ღონისძიებებში მათი ჩართვის მზაობა; მშობლებთან თანამშრომლობის კითხვარის ფორმა მოცემულია წინამდებარე დებულების N1 დანართში;

5.5 სწავლის დაწყებიდან ორი ან სამი კვირის შემდეგ კლასის დამრიგებელმა შეიძლება შინ გაუგზავნოს მშობელს კითხვარი “გამაცანით თქვენი შვილი“. აღნიშნული კითხვარის ფორმა მოცემულია წინამდებარე დებულების N2 დანართში;

5.6 სკოლაში იწარმოებს განცხადებების დაფა, რომელიც განთავსებულია სკოლის შენობის 2 სართულზე. განცხადებების დაფა შეიცავს ინფორმაციას მოახლოებული შეხვედრების, ღონისძიებებისა და მშობლისათვის სხვა საინტერესო საკითხების შესახებ;

5.7 სკოლის დირექტორის ბრძანებით ყოველი კვირის პარასკევი დღე მშობელთა დღეა. ყველა მშობელს შესაძლებლობა აქვს, დღის მეორე ნახევარში 2 საათიდან, მოვიდეს სკოლაში და გაესაუბროს დამრიგებელს, შეხვდეს საგნების მასწავლებლებს და მიიღოს დეტალური ინფორმაცია მოსწავლის შესახებ;

5.8 სკოლამ (მასწავლებელმა) მშობელს უნდა მიაწოდოს მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იქნება ბავშვის განვითარებასთან, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან. მნიშვნელოვანია, მშობლები ფლობდნენ ინფორმაციას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სასკოლო გარემოში ინტეგრაციის შესახებ. ასევე, მშობლებს უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია, როგორც სკოლაში უკვე განხორციელებული ღონისძიებების და სამუშაოების შესახებ, ასევე მომავალში დაგეგმილი აქტივობების თაობაზე.

## **მუხლი 6. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები**

6.1 სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია.

6.2. სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება საკლასო კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით;

6.3. თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს. მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან უნდა შეათანხმოს.

6.4. მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია კლასის დამრიგებელს ან დირექტორს;

6.5. საგნის მასწავლებელს, ადმინისტრაციასთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი;

6.6. მშობელთან ურთიერთობის დროს (მიმოწერისას ან საუბრისას) მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩენით უნდა იწყებოდეს, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემების განხილვა მოჰყვეს.

6.7. მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისაკენ მიმართული.

6.8. სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების (ექსტერნის გამოცდების) შესახებ.

6.9. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.

## **მუხლი 7. მშობლისათვის/მოსწავლისათვის სავალდებულო მისაწოდებელი ინფორმაცია**

7.1 დამრიგებელი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სასწავლო პროგრამები;
- ✓ შეფასების პროცედურების და კრიტერიუმები;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ შიდასასკოლო დებულება;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამები.

7.2. გარდა ზეპირსიტყვიერად გაცნობისა, მშობელს შეუძლია გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტაციას სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებამდე, აღნიშნული დოკუმენტები გააკრას მეორე სართულის ფოიეში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, რათა თითოეულ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს გაეცნოს მისთვის მნიშვნელოვან/საჭირო ინფორმაციას.

7.3 პირველ მშობელთა კრებაზე თითოეული საგნის მასწავლებელი მოსწავლეების მშობლებს აცნობს შეფასების კრიტერიუმებს.

## **მუხლი 8. დებულების დამტკიცებისა და ცვლილების შეტანის წესი**

8.1 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებას შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

8.2 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.

დანართი N1

შპს „ე.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“

მშობელთა გამოკითხვა

1. ინფორმაცია სკოლის შესახებ

რამდენად კარგად ხართ ინფორმირებული სკოლის საქმიანობის შესახებ		საიდან ღებულობთ ინფორმაციას სკოლის შესახებ	
ძალიან კარგად		ჟურნალ-გაზეთებიდან	
კარგად		ტელევიზორიდან /რადიოდან	
მეტ-ნაკლებად კარგად		მასწავლებლისაგანგანათლების სამინისტროს მიერ მომზადებული საინფორმაციო მასალებიდან	
ცუდად		ნაცნობ- მეობრებისაგან	
უარი პასუხზე		უარი პასუხზე	

2. თუ იცით სკოლაში წინა წლებითან შედარებით სიტუაცია გაუმჯობესდა თუ გაუარესდა?

გაუმჯობესდა	გაუარესდა	დარჩა იგივე	არ ვიცი

3. რატომ თვლით, რომ გაუმჯობესდა ან გაუარესდა?

რა გაუმჯობესდა	რა გაუარესდა	დაასაბუთეთ
1. გარემო 2. კომფორტი 3. ტექ.აღწურვილობა 4. დისციპლინა 5. მეთოდები 6. სსმმ-თან მიდგომები 7. სწავლის ხარისხი 8. ყოველდღიური გამოკითხვა 9. უსაფრთხოება 10. მოსწავლეთა ჩაცმულობა 11. ურთიერთობა მოსწ/მასწავლებლის შორის		

4. რა მოგწონთ ყველაზე მეტად იმ სკოლის, რომელშიც თქვენი შვილი სწავლობს?  
დაასახელეთ სამი საუკეთესო ასპექტი:

მალაკვალიფიციური პედაგოგ. არიან	სწავლების მეთოდი	დისციპლინა	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა	ტერიტორიული და ახლოსაა	სწავლების ხარისხი	სანიტარულ-ჰიგიენური	საკვები	მასწავლებლებსა და მოსწავლეებს	“კარგი რეპუტაცია“	სხვა

**5. თქვენი აზრით,რა არის 3 ძირითადი პრობლემა იმ სკოლაში, სადაც თქვენი შვილი სწავლობს?**

არ არის პრობლემა	სკოლის ხელმძღვანელობა არაკომპეტენტი	სწავლების დაბალი ხარისხი	სკოლაში ცუდი პირობებია	ზამთარში ცუდად თბება	არ ვიცი	სკოლაში შესვლა შეუძლებელია	მოსწ-თა ურთიერთ დამოკ.	სპორტის წრეები	ბუფეტი

**6. გთხოვთ გვითხრათ,სკოლის შერჩევისას რომელ მაჩვენებელს უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს:**

როგორია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება	გახანგრძლივებული სწავლებების (გაკვეთილების ადგილზე მომზადება)	რამდენმა მოსწავლემ ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში	რამდენმა მოსწავლემ გაიმარჯვა სხვადასხვა დონის გამოცდებში	სერტიფიცირებულ მასწავლებლებთან რაოდენობა	რამდენად ორგანიზებულია სკოლაში კლასგარეშე მუშაობა (სადისკ. კლუბი, მხატვრული შემოქმედების სახეობები)	რამდენად უწყობს ხელს სკოლა მშობლებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო და აღზრდით	რამდენადაა აღჭურვილი სკოლა თანამედროვე ინვენტარით (მერხები, სკამები, თვალსაჩინოებები, ლაბორატორიები. სხვა)	რამდენადაა აღჭურვილი სკოლა ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტ. აუდიო, ვიდეო-აპარატურა, მანქანები)	რამდენად კომფორტულად არის სკოლა მოწყობილი (გათბობა, კონდიციონერები, რემონტი და ა.შ)

**7. როგორი დამოკიდებულება გაქვთ შვილის/შვილების მასწავლებლებთან?**

ძალიან კარგი	მეტ-ნაკლებად კარგი	მეტ-ნაკლებად ცუდი	ცუდი	უარი პასუხზე

**8. თუ ხართ ინფორმირებული,რომელი საგანის/საგანების სწავლება მიმდინარეობს საინტერესოდ თქვენი შვილის/შვილების სკოლაში?**

რომელი საგანის/საგანების სწავლება მიმდინარეობს საინტერესოდ თქვენი	რომელი საგნის სწავლება არ	დაასაბუთეთ

	შვილის/შვილების სკოლაში?	გაკმაყოფილებთ?	
ქართული ენა და ლიტერატურა			
მათემატიკა			
ინგლ.ენა			
რუსული ენა			
ისტორია			
გეოგრაფია			
ქიმია			
ფიზიკა			
ბიოლოგია			
ეკონომიკა			
სამოქ.განათლება			
ბუნება			
ხელოვნება			
მუსიკა			
ფიზ-რა			

**9. რა ინფორმაციას ფლობთ?**

ხართ თუ არა ინფორმირებული ელექტრონული ჟურნალის შესახებ და რამდენად იყენებთ მას?	ხართ თუ არა ინფორმირებული დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობების შესახებ და რომელ საგანში ამცადინებენ თქვენს შვილს ინდივიდუალურად?	ხართ თუ არა ინფორმირებული სკოლის ელექტრონულად მართის eservice.schoolbook.ge - ს შესახებ და იყენებთ თუ არა მას?	რა სიხშირით ეცნობით თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებას და რა საშუალებებით?	იცით თუ არა სააღმზრდელო პროგრამის ( კლასის საათის ) შესახებ?